შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტო

# 2023

# სარჩევი
# TABLE OF CONTENTS


განხორციელებული პროექტები
IMPLEMENTED PROJECTS . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 1

განახლებული საგამოცდო ავტოპარკი
RENEWED EXAM FLEET . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3

ინფრასტრუქტურული პროექტები
INFRASTRUCTURE PROJECTS . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4

მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები
IMPORTANT LEGISLATIVE CHANGES . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5

კვალიფიკაციის ამაღლება
QUALIFICATION RAISING. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 6

საერთაშორისო თანამშრომლობა
INTERNATIONAL COOPERATION . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 7

ყოველწლიური ღონისძიებები
ANNUAL EVENTS . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 9

## განხორციელებული პროექტები

## IMPLEMENTED PROJECTS

» მომსახურების სააგენტო აგრძელებს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2023 წლის 1-ლი სექტემბრიდან „C“ და „D“ კატეგორიების და „C1“ და „D1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდის პრაქტიკული ნაწილი ორეტაპიანი გახდა.

» მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს დაემატა სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ გამართულობასთან დაკავშირებული კითხვები.

» The Service Agency remains committed to fulfilling its obligations under the Association Agreement between Georgia and the European Union. In alignment with the amendments to the Law of Georgia “On Traffic,” from September 1, 2023, the practical part of the exam for obtaining driving permit for vehicles of categories “C” and “D,” as well as subcategories “C1” and “D1,” has transformed into a two-staged process.

» The qualification requirements of the second stage of the practical test for getting driving permit now incorporate questions about technical efficiency of the vehicle.



» მომსახურების სააგენტომ ცნობების ელექტრონული წესით გაცემა დაიწყო - მობილურ აპლიკაციასა (Service Agency) ან/და ვებგვერდზე (my.sa.gov.ge) დარეგისტრირებულ პირებს ცნობის მისაღებად განაცხადის შევსება და დამზადებული დოკუმენტის მიღება, ადგილზე ვიზიტის გარეშე, ელექტრონული წესით შეუძლიათ. ხოლო ის პირები, რომლებიც ცნობის მისაღებად განაცხადს ადგილზე მომსახურების სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში გააკეთებენ, დამზადებულ დოკუმენტს, სურვილის შემთხვევაში, როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული წესით, მიიღებენ. მოქალაქეებს, განაცხადის შევსებისას დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, გაეგზავნებათ შესაბამისი ბმული, საიდანაც ცნობის ჩამოტვირთვას შეძლებენ.

» მომსახურების სააგენტომ ორი ახალი სახის ცნობის გაცემა დაიწყო, კერძოდ:

გაქარწყლებული და მოხსნილი ნასამართლობის შესახებ ცნობა, სადაც აისახება ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის გაქარწყლებული და მოხსნილი ნასამართლობის და სასჯელისაგან (სასჯელის მოხდისაგან) გათავისუფლების შესახებ;

სატრანსპორტო საშუალების საქართველოს საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობა.

» მომსახურების სააგენტოში 10-ზე მეტი სახის ცნობა გაიცემა. დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს აღნიშნული ცნობის ლეგალიზაცია ან აპოსტილით დამოწმება და თარგმანი. სააგენტოში ცნობის თარგმნა 8 ენაზეა შესაძლებელი, კერძოდ ინგლისურ, გერმანულ, რუსულ, თურქულ, იტალიურ, ფრანგულ, ესპანურ და ბერძნულ ენებზე.

» The Service Agency has started to issue certificates electronically. Individuals registered on the mobile application (Service Agency) and/or the website (my.sa.gov.ge) can apply for certificates and receive them digitally, eliminating the need for in-person visits and the persons who apply for the certificate in the structural unit, can get the certificate both – in electronic and material form. A link will be sent to the phone number of the citizen specified when filling out the application, from where he/she is able to download a certificate.

» The Service Agency has introduced two new types of certificates:

For expunged and cancelled convictions, where the information about cancelled and expunged conviction and release from punishment (serving the sentence) of the data subject is reflected.

For vehicles crossing or leaving the borders of Georgia, where the information about crossing the state border of Georgia by a certain vehicle is given.

» For more than 10 types of certificates available, individuals can request legalization, apostille certification, and translation. The Agency offers translation services in eight languages: English, German, Russian, Turkish, Italian, French, Spanish, and Greek.




» შენახვის უფლებით რეგისტრირებული იარაღის, მისი შენახვის ადგილიდან ტირში ან სასროლეთში გადატანისა და შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით, იარაღის დროებითი მოწმობის მიღება მესაკუთრეს ელექტრონული ფორმით შეუძლია.

» To facilitate the transfer from storage to a shooting range and back of a weapon registered with the right to keep, owners can obtain a temporary license to carry (LTC) firearms electronically.

» სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციისთვის განკუთვნილი ახალი პროგრამა (AMS) შეიქმნა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ერთი ფანჯრის პრინციპით, უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის სერვისების მიწოდებას.

» A new vehicle registration program (AMS) has been created, which provides services to citizens through a one-stop platform using modern technologies.

## განახლებული საგამოცდო ავტოპარკი

მომსახურების სააგენტომ მართვის უფლების მისაღები „B“ კატეგორიის პრაქტიკული გამოცდისთვის 45 ერთეული ახალი ავტომობილი შეიძინა. ახალი ავტომობილები, თანამედროვე GPS სისტემებით აღიჭურვა და საქართველოს მასშტაბით 10 ქალაქში, მომსახურების სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში გადანაწილდა. ახალი ავტომობილების შეძენამ უზრუნველყო მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე გამსვლელი კანდიდატებისთვის დამატებითი ადგილების გამოყოფა. ასევე, შესყიდულ იქნა 2 ერთეული სატვირთო ავტომანქანა „C“ კატეგორიის პრაქტიკული გამოცდისათვის.

## RENEWED EXAM FLEET

The Service Agency purchased 45 units of new cars for the practical exam for obtaining a driving permit for vehicles of the category “B”. The new cars are equipped with modern GPS systems and distributed to the structural units of the Agency in 10 cities across Georgia. The purchase of new vehicles ensured the allocation of additional seats for candidates passing the second stage of the practical driving test. Also, two trucks were purchased for the practical test of the category “C”.








## განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები

» რუსთავის სტრუქტურულ ერთეულში, მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე გამსვლელი კანდიდატებისთვის მოსაცდელი სივრცე და საგამოცდო ავტომანქანებისათვის სპეციალური სადგომი აშენდა. ასევე, არსებული შენობები და გარე ტერიტორია ადაპტირდა შშმ პირებისათვის.

» თელავის სტრუქტურულ ერთეულში, „C“, „C1“, „CE“, „D“, „D1“, „DE“ კატეგორიების/ქვეკატეგორიების პრაქტიკული გამოცდისათვის საჭირო მოედანი და გამოცდაზე გამსვლელთათვის მოსაცდელი სივრცე მოეწყო. ასევე, იარაღის ბალისტიკური შემოწმებისათვის ახალი შენობა აშენდა.

» თბილისის სტრუქტურულ ერთეულში იარაღის ბალისტიკური შემოწმებისათვის და იარაღის თეორიული გამოცდისათვის ახალი შენობა აშენდა, რომელიც სტანდარტის შესაბამისად სრულად ადაპტირდა შშმ პირებისთვის.

» გორის სტრუქტურულ ერთეულში იარაღის ბალისტიკური შემოწმებისათვის და იარაღის თეორიული გამოცდისათვის, ასევე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება/ექსპერტიზისათვის საჭირო შენობები აშენდა.

» ზუგდიდის სტრუქტურულ ერთეულში განხორციელდა მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის „B“ კატეგორიისათვის საჭირო მოედნის გაფართოება და გამოცდაზე გამსვლელთათვის მოეწყო მოსაცდელი სივრცე. იარაღის ბალისტიკური შემოწმებისათვის კი, აშენდა ახალი შენობა.

» ფოთის სტრუქტურულ ერთეულში იარაღის ბალისტიკური შემოწმებისათვის აშენდა ახალი შენობა. ასევე „C“, „C1“, „CE“, „D“, „D1“, „DE“ კატეგორიების/ქვეკატეგორიების პრაქტიკული გამოცდისათვის მოეწყო ბეტონის მოედანი შესაბამისი მოსაცდელითა და ავტოსადგომით.

## IMPLEMENTED INFRASTRUCTURE PROJECTS

» In Rustavi structural unit a waiting area for candidates undergoing the second stage of the practical driving license test has been constructed. A specialized parking lot for test vehicles has been built. Adaptations have been made to existing buildings and outdoor areas in Rustavi to enhance accessibility for disabled persons.

» In Telavi structural unit an asphalt field essential for the practical testing of categories/subcategories "C", "C1", "CE", "D", "D1", and "DE" has been set up. A waiting area for test takers and new buildings for weapon ballistics and practical testing have been built.

» In Tbilisi structural unit a new building dedicated to weapons ballistic and theoretical testing of weapons has been constructed. Comprehensive adaptations have been made to the Tbilisi structural unit to ensure full accessibility for disabled persons.

» In Gori structural unit new buildings have been built for ballistic and theoretical testing of weapons and for inspection/examination of vehicles.

» In Zugdidi structural unit the area intended for the practical test of the category "B" has been expanded. A waiting area for test takers has been arranged. A new building has been established for weapons ballistics and practical testing.

» In Poti structural unit a new building has been constructed for ballistic testing of weapons. For the practical test of categories/subcategories "C", "C1", "CE", "D", "D1", and "DE", a concrete field with an appropriate waiting area and the parking lot has been arranged.



## მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები

» 2023 წელს, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შემუშავდა იარაღის ბალისტიკური შემოწმებისა და ექსპერიმენტული გასროლის ახალი წესი. სავალდებულო გახდა იარაღის ბალისტიკისას წარმოდგენილი იარაღების ფოტოგადაღება, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში გადაკეთების გამოვლენას უფლებამოსილი უწყებების მხრიდან. ამასთან, რეფორმის ფარგლებში, ბალისტიკური შემოწმებისას ხორციელდება სანადირო ხრახნილლულიანი, მათ შორის კომბინირებული იარაღის ექსპერიმენტული გასროლა და შესაბამისი ფოტოგადაღება.

## IMPORTANT LEGISLATIVE CHANGES

» Significant amendments have been introduced to the Law of Georgia “On Firearms.” These changes include the development of a new protocol for ballistic testing of weapons and experimental firing. Notably, a mandatory provision now requires the documentation of photographs for all weapons presented during ballistic testing. This measure aims to facilitate subsequent detection of modifications by authorized agencies. Furthermore, as part of the reform, experimental firing of hunting rifled weapons, including combined types, is now conducted during ballistic inspections, accompanied by appropriate photography.



## კვალიფიკაციის ამაღლება

## QUALIFICATION RAISING

» „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 2023 წელს მომსახურების სააგენტოს 300-მდე თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგი თემაზე - „შშმ პირებთან კომუნიკაციის ეტიკეტი“. აღნიშნული ტრენინგის მიზანია სააგენტოს თანამშრომელთათვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მომსახურების ხარისხისა და კომუნიკაციის სტანდარტის გაცნობა.

» Aligned with the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities, the Law of Georgia "On the Rights of Persons with Disabilities," and the Ministry of Internal Affairs' action plan for the protection of disability rights, approximately 300 Service Agency employees underwent training in 2023 on the topic "Communication with Disabled Persons Etiquette." The training aims to acquaint Agency staff with service quality standards and communication norms for individuals with disabilities.



» მომსახურების სააგენტოს საინფორმაციო და სატელეფონო კონსულტაციის სამსახურების თანამშრომლებს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში, ჩაუტარდათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი - „ეფექტური კომუნიკაციის როლი მომსახურების სფეროში“. სწავლება ეფექტიანი კომუნიკაციისა და მომსახურების განხორციელებისათვის საჭირო ცოდნის შეძენას და შესაბამისი უნარების განვითარებას ითვალისწინებდა.

» Representatives of the Information and Telephone Assistance Division of the Service Agency underwent qualification training on "The Role of Effective Communication in the Field of Service" at the Public Safety Command Center “112”. This training aimed to equip participants with the knowledge and skills necessary for effective communication and service implementation.



# საერთაშორისო თანამშრომლობა

# INTERNATIONAL COOPERATION

მომსახურების სააგენტომ, 2023 წლის განმავლობაში, 10-მდე ქვეყნის დელეგაციას უმასპინძლა, მათ შორის ირლანდიის პარლამენტის თავმჯდომარეს, ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრს და სომხეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს. დელეგაციის წევრებმა ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერეს მომსახურების სააგენტოს რუსთავის სტრუქტურული ერთეული, გაეცნენ სააგენტოს სერვისებს, სამუშაო სპეციფიკას და დანერგილი პროექტების შესახებ მიიღეს ინფორმაცია.

During 2023, the Service Agency hosted delegations from up to ten different countries including: the Speaker of the Parliament of Ireland, the Minister of Internal Affairs of the Kingdom of Spain, and the Deputy Minister of Internal Affairs of Armenia. As part of their visit, the delegation members visited the structural unit of the Agency, got acquainted with the Agency's services, work specifications and received information about implemented projects. The International Driver Training Commission (CIECA) published









The International Commission for Driver Testing

მძღოლთა ტესტირების საერთაშორისო ორგანიზაციამ (CIECA) წლიურ ანგარიშში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს შესახებ სტატია გამოაქვეყნა.
სტატიაში საუბარია მომსახურების სააგენტოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში განხორციელებულ ცვლილებებზე, კერძოდ მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე. ასევე, სააგენტოს მიერ დანერგილ დისტანციურ სერვისებსა და სამომავლო გეგმებზე.

*„გამოცდების რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში ჩატარება წარმოადგენს როგორც დირექტივის იმპლემენტაციისკენ გადადგმულ ნაბიჯს, ასევე, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ პრევენციულ ინსტრუმენტს, რათა შემცირდეს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები და ამაღლდეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ცოდნის დონე.“*

2014 წლიდან, მომსახურების სააგენტო მძღოლთა ტესტირების საერთაშორისო ორგანიზაციის (CIECA) წევრია. აღნიშნული ორგანიზაცია ევროკავშირის ქვეყნებში საგზაო მოძრაობის სტანდარტების შემუშავებას, მხარდაჭერასა და მონიტორინგს უზრუნველყოფს.

an article about the Service Agency of the Ministry of Internal Affairs of Georgia in its annual report. The article reviews the changes implemented by the Service Agency within the scope of the obligation assumed by the Association Agreement with the European Union, namely in the second stage of the practical test of obtaining a driving permit. Also, on remote services implemented by the agency and its future plans.

*"Conducting tests under real road traffic conditions is a step towards the implementation of the directive, as well as one of the means of prevention for ensuring road safety in order to reduce traffic accidents and raise the level of road traffic safety knowledge."*

Since 2014, the Service Agency has been a member of The International Driver Training Commission (CIECA). The organization provides development, support and monitoring of road traffic standards in EU member states.



# ყოველწლიური ღონისძიებები
# ANNUAL EVENTS








## 31 მაისი
## პოლიციელის დღე

## MAY 31
## POLICE DAY











## 26 მაისი-საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

## MAY 26-INDEPENDENCE DAY OF GEORGIA





» შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო შემეცნებითი კამპანიის - „ემეგობრე პოლიციას" ფარგლებში, ახალქალაქში საზოგადოებრივი ღონისძიება გაიმართა, სადაც მომსახურების სააგენტომ სტუმრებს სხვადასხვა გასართობ-შემეცნებითი აქტივობა შესთავაზა. ღონისძიებაზე, მოზარდებისთვის იმიტირებული ველო რბოლისა და თეორიული გამოცდის სივრცე მოეწყო, რომლის წარმატებით გავლის შემდეგ პატარებს სიმბოლურად ველოსიპედის მართვის მოწმობა გადაეცათ. ასევე, „ემეგობრე პოლიციას" ფარგლებში, მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილემ, იმედა მაკასარაშვილმა, ანაკლიაში ახალგაზრდულ ბანაკში საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრა გამართა.




» Within the framework of the Ministry of Internal Affairs' informative and educational campaign - "Befriend the Police", a public event was held in Akhalkalaki, where the Service Agency offered various entertaining and educational activities to the guests. At the event, simulated bicycle racing and theoretical test space were organized for adults, after successfully passing which, the children were symbolically given a bicycle driving license. Also, within the framework of the campaign - "Befriend the Police", the deputy director of the Service Agency, Imeda Makasarashvili, held an informative-educational meeting in the youth camp in Anaklia.



